საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *სიმონ ჩხაიძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20
წერის უნარი	18	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	10	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	89	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი: 27.05.21

სიმონ ჩხაიძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის სიმონ ჩხაიძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	<u>კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასება ეფუძნება სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას,</u> კერძოდ: - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე; - სს „კრედიტინფო საქართველოს" მოწოდებულ სრულ პერსონალურ საკრედიტო ინფორმაციას; - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებს კანდიდატის შემოსავლების შესახებ; - საჯარო სამსახურის ბიუროში კანდიდატის მიერ წარდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას; - საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტისა და იუსტიციის
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

		უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურის მონაცემებს შესაფასებელი მოსამართლის წინააღმდეგ წარმოებული დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ; აგრეთვე, მხედველობაში მივიღე კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილი რეკომენდაციები და კანდიდატთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან გამოთხოვილი (სპეციალური კითხვარის ფორმით შედგენილ) დახასიათებები. გარდა ამისა, ვეყრდნობი კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას. **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით 2020 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს დაშვებული აქვს ხუთი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-6^2 ნაწილით გათვალისწინებული ერთი, 125-ე მუხლის მე-7^1 ნაწილით გათვალისწინებული ერთი, 118-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ერთი და 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული ორი

		სამართალდარღვევა. აღნიშნული სამართალდარღვევისათვის შეფარდებული ჯარიმებიდან ყველას აქვს ვადაგასულის სტატუსი. ზემოხსენებული მონაცემების, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, კანდიდატი გამოირჩევა პატიოსნებით, გულწრფელობით, კეთილსინდისიერებითა და სიმართლისმოყვარეობით. ხელთარსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერების პროფესიული სინდისის მახასიათებელს. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა** გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. სიმონ ჩხაიძე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ დახასიათებულია დამოუკიდებელ, მიუკერძოებელ და სამართლიან პიროვნებად. აღნიშნავენ, რომ სიმონ ჩხაიძისთვის არასდროს შეუმჩნევიათ წინასწარ შექმნილი განწყობა გადაწყვეტილების მიღებისას. მათი აზრით, სიმონ ჩხაიძე ხელმძღვანელობს მხოლოდ კანონითა და შინაგანი რწმენით, არის შეუვალი და პრინციპული პროფესიონალი. გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ

		ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ მას შესწევს დამოუკიდებლად ლოგიკური დასკვნის გაკეთებისა და საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი. 3. პიროვნული და პროფესიული ქცევა წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი თავაზიანი და გაწონასწორებული ადამიანია. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა თანმიმდევრულობას და გულახდილობას. კანდიდატის ქცევას ცალსახად პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. გამორჩეულად აღნიშნავენ მის გულისხმიერებას, სხვისი ინტერესის გათვალისწინების უნარს და საქმისადმი ერთგულებას. მიაჩნიათ, რომ სიმონ ჩხაიძეს შეუძლია გულდასმით მოსმენა და საფუძვლიანი აზრით სხვათა დარწმუნება. მისი პიროვნული და პროფესიული ქცევა სრულად შეესაბამება მოსამართლის მაღალ სტატუსს. არსებული ინფორმაციით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახურისა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სამოსამართლო ეთიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, სიმონ ჩხაიძის მიმართ დისციპლინური დევნა არ განხორციელებულა. კანდიდატი, მისივე ინფორმაციით, მხარედ მონაწილეობდა სამოქალაქო საქმეში მოპასუხის სტატუსით (დავის საგანი: განქორწინება; შედეგი: სარჩელის ცნობისა და მოპასუხის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობის გამო სარჩელი დაკმაყოფილდა დაუსწრებელი გადაწყვეტილებით); ასევე, მეორე სამოქალაქო საქმეში მოსარჩელის სტატუსით (დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება) შედეგი: მოპასუხის მხრიდან ვალდებულების

		ნებაყოფლობით შესრულების გამო, მოსარჩელემ აღარ გაასწორა სარჩელში დაშვებული ხარვეზი. ამდენად, სასამართლომ უარი უთხრა სარჩელის წარმოებაში მიღებაზე. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი წარმოება არ განხორციელებულა. 4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს მარალკვალიფიციური პროფესიონალისა და დადებითი პიროვნების სახელით. სამოსამართლო პრაქტიკის პარალელურად წლების განმავლობაში ეწევა პედაგოგიურ, თეორიულ-კვლევით საქმიანობას და გააჩნია მაღალი ავტორიტეტი როგორც ძველი, ისე ახალი თაობის იურიდიულ წრეებში. კანდიდატის შესახებ ინტერნეტში მოიპოვება ინფორმაცია რაც დაკავშირებულია დეკლარაციის უსწორო შევსების ფაქტსა და შედეგებთან. სხვა (პოზიტიური ან ნეგატიური) ინფორმაცია ვერ იქნა მოძიებული. აღსანიშნავია, რომ 1991-2006 წლებში კანდიდატი იყო საქართველოს რესპუბლიკური პარტიის წევრი. რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ. 5. ფინანსური ვალდებულება

			მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, სიმონ ჩხაიძეს საკრედიტო, ან სხვა სახის მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური (მათ შორის ბიუჯეტის მიმართ) ვალდებულება არ გააჩნია. როგორც უკვე აღინიშნა, შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატმა დაუშვა ხუთი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. დაკისრებულ ჯარიმებს მინიჭებული აქვთ ვადაგადაცილებულის სტატუსი.
			საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, არ ვლინდება კანდიდატის კეთილსინდისიერების ეჭვქვეშ დაყენების რაიმე საფუძველი. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ის სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის	შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	20	<u>სამართლის ნორმის ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ორ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისა და ნაშრომის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u> აღნიშნული მასალის განხილვის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სიმონ ჩხაიძე კარგად ფლობს საქართველოს

			სამოქალაქო საპროცესო და მატერიალური სამართლის ნორმებს. ის ზუსტად და სიღრმისეულად აღიქვამს გამოყენებული სამართლებრივი ნორმების შინაარსსა და დანიშნულებას. წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში დასმული სამართლებრივი პრობლემების გადაჭრისას გამოყენებულია სამართლის ნორმათა ლოგიკური და ტელეოლოგიური განმარტების მეთოდები. ერთ-ერთ წარმოდგენილ სამოქალაქო საქმეში კვალიფიციურადაა გაანალიზებული და გამოყენებული კონკრეტული სამართალურთიერთობების მარეგულირებელი საკანონმდებლო აქტისა და საერთაშორისო სამართლებრივი აქტების დებულებები. წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია შრომის თავისუფლების, როგორც ადამიანის ერთ-ერთი ფუძემდებლური უფლების ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტიტუტი, როგორიცაა შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი; ამ შემთხვევაში - „სხვა ობიექტური გარემოება". ავტორი მიმოიხილავს შრომითი ხელშეკრულების მოშლის სამართლებრივი საფუძვლების ევოლუციას ეროვნულ სამართალში; გაანალიზებულია საერთაშორისო და დემოკრატიული სახელმწიფოების შრომის სამართლებრივ სტანდარტები და ამ სტანდარტებთან ქართული შრომის სამართლის მიმართება. საკითხი დამუშავებული აქვს სხვადასხვა სამართლებრივი კონცეფციების ჭრილშიც. ავტორს მოცემული აქვს არა მხოლოდ სამართლებრივი საკითხის, არამედ მასთან დაკავშირებული თითოეული ტერმინის დეტალური განმარტება. რაც უდავოდ მატებს ნაშრომს სანდოობასა და თეორიულ ფასეულობას. ცხადია, რომ მას შეუძლია სამართლებრივი პრობლემის არსებითი და საგნობრივი კვლევა. კანდიდატთან ჩატარებულმა გასაუბრებამ ცხადყო, რომ ის

			ეცნობა ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	18	20	<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი ორ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისა და ნაშრომის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.</u> მიმაჩნია, რომ შესწავლილ გადაწყვეტილებებში და წარმოდგენილ ნაშრომში კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებები ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით არგუმენტირებულია დამაჯერებლად და დასაბუთებულია კვალიფიციურად. მიმაჩნია, რომ კანდიდატის პოზიცია მოხმობილი ფაქტობრივი და სამართლებრივი არგუმენტებიდან და მტკიცებიდან ლოგიკურად გამომდინარეობს. ჩემი აზრით, კანდიდატს შეუძლია ცალკეულ სამართლებრივ საკითხზე არსებული სასამართლო პრაქტიკის, შიდასახელმწიფო და საერთაშორისო კანონმდებლობის სწორი შედარებითი და საგნობრივი ანალიზი. შედეგად, საკუთარი დასკვნის საფუძვლიანად ჩამოყალიბება. სიმონ ჩხაიძის 25 წლიანი პროფესიული გამოცდილება მოიცავს სხვადასხვა კერძო საკონსულტაციო და სახელმწიფო უწყებებში საქმიანობას, ასევე პედაგოგიურ მოღვაწეობას. სიმონ ჩხაიძეს გააჩნია სამოსამართლო საქმიანობის 15 წლიანი პრაქტიკაც. ამჟამად ასრულებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლის უფლებამოსილებას.

წერის უნარი	18	20	წერის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილ ორ სამოქალაქო საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისა და ნაშრომის ანალიზს, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი წერილობითი მასალა
			შესრულებულია გამართული ქართულით და იკითხება კარგად. მიუხედავად განხილული საკითხების სირთულისა, აზრი გარკვევით არის გადმოცემული. იურიდიული ტერმინოლოგია ბუნებრივად არის ჩართული საერთო ენობრივ კონტექსტში. მიმაჩნია, რომ წერილობითი მასალა დაინტერესებული პირისათვის რთულად აღსაქმელი არ არის. შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა. კანდიდატის წერის უნარი პოზიტიურად აქვთ დახასიათებული რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებსაც.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	10	15	ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს. შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი ძირითადად მეტყველებს გარკვევით, საუბრისას საკმაოდ მშვიდი და გაწონასწორებულია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის სწორად აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ჩემი აზრით, საკუთარ მოსაზრებას ძირითადად ლაკონიურად და საკმაოდ ცხადად გადმოსცემს. მისი მსჯელობა როგორც წესი თანმიმდევრული

			და ლოგიკურად გამართულია. ზოგადად, დატოვა ტაქტიანი და კომუნიკაბელური ადამიანის შთაბეჭდილება. კანდიდატი სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს ზეპირსიტყვიერად, როგორც წესი, გადმოსცემს გასაგებად. კანდიდატის ზეპირი კომუნიკაციის უნარი პოზიტიურად
			აქვთ დახასიათებული რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებსაც.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	15	15	<u>პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებულ სტატისტიკურ მონაცემებს (2017 წლის ნოემბრიდან 2020 წლის პირველი ნოემბრის მდგომარეობით) რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მოწოდებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად: სიმონ ჩხაიძეს საანგარიშო 1010 დღეში დასრულებული აქვს 502 საქმე (დღეში საშუალოდ 0,5 საქმე), რაც მისი სამუშაო რეჟიმის საშუალო დატვირთულობაზე მეტყველებს. ამ პირობებში კანდიდატს აქვს საქმის განხილვის საერთო საპროცესო ვადის დაცვის (83,3%) და გადაწყვეტილების მომზადების ვადის დაცვის (89,2%) მაღალი მაჩვენებლები. ამავდროულად, აქვს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის (85,3%) მაღალი მაჩვენებელიც. აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატი პასუხისმგებლობით ეკიდება სამსახურებრივი მოვალეობების შესრულებას. შეუძლია საშუალოდ დატვირთულ რეჟიმში გამართული ორგანიზებული მუშაობა. რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ

			მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, სიმონ ჩხაიძეს ახასიათებს პუნქტუალურობა, განურჩევლად ყველა (მარტივი თუ რთული) საქმისადმი ერთნაირად ყურადღებიანი დამოკიდებულება. გულდასმით ისმენს სხვის მოსაზრებებს და საფუძვლიანობის შემთხვევაში ითვალისწინებს მათ. მიაჩნიათ, რომ არის უაღრესად შრომისმოყვარე, ამავდროულად, საერთაშორისო და ეროვნული სასამართლო პრაქტიკის კარგად მცოდნე და დამოუკიდებელი აზროვნების უნარის მქონე პიროვნება.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი მოპოვებულ ინფორმაციას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> სიმონ ჩხაიძემ 2005 წელს ჩააბარა მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მიერ კანდიდატი დახასიათებულია პროფესიონალად, რომელიც მუდმივად მოწოდებულია გაეცნოს სიახლეებს და განვითარდეს. კანდიდატი ბოლო წლების განმავლობაში პერიოდულად მონაწილეობდა სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე მოწყობილ შეხვედრებსა და სემინარებშიც (გავლილი აქვს 3 ტრენინგი, დაესწრო 7 სემინარს). ყოველივე ხსენებულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატს შუძლია საკუთარი ცოდნისა და პროფესიული

			შესაძლებლობების რეალიზებას.
პროფესიული აქტივობა	5	5	<u>პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.</u>
			კანდიდატი ბოლო წლების განმავლობაში პერიოდულად მონაწილეობდა სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე მოწყობილ შეხვედრებსა და სემინარებშიც (გავლილი აქვს 3 ტრენინგი, დაესწრო 7 სემინარს). კანდიდატი სამოსამართლო პრაქტიკის პარალელურად ახორციელებს პედაგოგიურ და აქტიურ სამეცნიერო-თეორიულ საქმიანობას. სიმონ ჩხაიძე არის მრავალი სტატიის და ნაშრომის ავტორი, აგრეთვე, სახელმძღვანელოს (სასამართლო გადაწყვეტილების სტრუქტურა პირველ და მეორე ინსტანციების სასამართლოებში) თანაავტორი. ამჟამად, 2020 წლიდან ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას თბილისის ღია უნივერსიტეტში, მოწვეული სპეციალისტის სტატუსით. წმინდა ანდრიას ქართულ უნივერსიტეტში კითხულობს ლექციას სამოსამართლო სამართალსა და სამოსამართლო ეთიკაში. 2014-2019 წლებში იყო აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული სპეციალისტი. 1996-1999 წლებში იყო ქ. ბათუმის სოციალურ-პოლიტიკური ინსტიტუტის მასწავლებელი. 1997-1999 წლებში იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბათუმის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებელი. მას აქვს სალექციო კურსი თემაზე: სამოსამართლო სამართალი და სამოსამართლო ეთიკა.

			კანდიდატი აფხაზეთის ეროვნული სამეცნიერო აკადემიის და უნგრეთის შედარებითი სამართლის აკადემიის წევრია;
ქულათა ჯამი:	89	100	

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი : 27.05.21

ხელმოწერა: